

აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების კატალოგი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფსიქოლოგია

1. დიპლომი და კვალიფიკაცია :

სპეციალობა: სოციალური მეცნიერებები

სპეციალიზაცია: ფსიქოლოგია

დიპლომის კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი - პროფ. დიტერ შლიში

- 2. პროგრამის მიზანი:** საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში სტუდენტს მისცემს საბაზო ცოდნას ზოგადი ბაკალავრიატის ფარგლებში და გამოუმუშავებს მას დარგის სპეციფიკაციებში გარკვევის უნარს. პროგრამა ორიენტირებულია კვლევით და გამოყენებით ასპექტებზე, ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიის ჩართვაზე თეორიული პრობლემატიკის კვლევისას; დარგში თანამედროვე ხედვის გამომუშავებაზე. დარგის ისტორიისა და ქვედარგების თეორიულ ცოდნაზე. კვლევის მეთოდოლოგიების შესწავლაზე. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის ნორმების სწავლებას და მათ გათვალისწინებას კვლევითი პროექტების მიმდინარეობის დროს.

3. სწავლის შედეგები :

3.1. ცოდნა და გაცნობიერება:

ზოგადსოციალურ მეცნიერებათა ცოდნის ფარგლებში ფლობს სოციალურ იდეათა ისტორიას, ადამიანის განვითარების ზოგადი ისტორიის საკითხებს, ცივილიზაციათა ტიპოლოგიის და თანამედროვე საზოგადოების განვითარების ტენდენციებს. საზოგადოებრივი აზრისა კვლევის მეთოდოლოგიას. იცნობს სოციალურ მეცნიერებათა რადენობრივ და თვისობრივ კვლევით მეთოდებს; სოციალურ მეცნიერებათა შიგნით განასხვავებს დარგის კვლევისა და პრაქტიკის ზოგადმეცნიერულ და სპეციფიკურ მეთოდოლოგიებსა და მიდგომებს;

დარგობრივი ცოდნის ფარგლებში: კურსდამთავრებულმა იცის ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ადგილისა და როლის განსაზღვრა. აქვს ცოდნა ფსიქოლოგიის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპებზე, ძირითად თეორიებსა და მიმართულებებზე; კარგად ესმის დარგის განვითარების დინამიკა და თანამედროვე მიდგომები; ქვედარგების სტრუქტურა და კვლევის სპეციფიკური მეთოდები. ადამიანის ქცევითი საფუძვლები. თანამედროვე ფსიქოლოგიის განვითარების შესაძლებლობები; შესწავლილი აქვს თავის ტვინის ფიზიოლოგია და აქვს ცოდნა ნეირომეცნიერებების საფუძვლების შესახებ; აცნობიერებს ფსიქოლოგიის გამოყენებით ხასიათს, მის ინტერდისციპლინურ ბუნებას და ასევე იმასაც, რომ ამ დარგში მიღწეული შედეგები ასახვას ჰპოვებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით. ფლობს პროფესიულ სფეროში მუშაობის მეთოდებს; კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები.

3.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: პროგრამა ასევე ითვალისწინებს ემპირიული კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების უნარების გამომუშავებას, კურსდამთავრებული შეძლებს მონაცემთა ბაზებზე მუშაობას, მათ დაგეგმვას, სამიზნე ჯგუფების გამოყოფას, ინტერვიუებზე, ბაზების შექმნასა და დამუშავებას, შედეგების ანგარიშების მომზადებას, პრეზენტირებას, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გამოყენებას; აღწერილობითი, კომბინირებული, კლინიკური კვლევების ჩატარებას. ბაკალავრს **შეუძლია** მონაწილეობა მიიღოს ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების შიგნით დამუშავებული მეთოდების პრაქტიკულად შესწავლაში, მაგალითად, გემტალტ - თერაპიის ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიული მუშაობის კუთხით; თერაპიული მიმართულებით, იცის ცნობილი ტექნიკები თეორიისა და ანალიზის დონეზე, ასევე იცის ფსიქოანალიზის საფუძვლები; ძირითადი სამკურნალო მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ფსიქოსომატიკაში, იცნობს აუტოგენურ ფსიქორეგულაციისა და აუტოტრენინგის ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, პრაქტიკულად ერკვევა ამ სავარჯიშოებსა და ტექნიკებში; ერკვევა ფსიქიკისა და პიროვნების ტიპოლოგიურ მოდელებში, მცდარ ქმედებებში, სიზმრებსა და ნევროზებში (შფოთვითი აშლილობები და ქცევითი დარღვევები). ყველა თეორიულ კურსს მოყვება პრაქტიკული ნაწილი.

პროგრამა განსაკუთრებულად აშუადებს კურსდამთავრებულებს ნეირო და კლინიკური ფსიქოლოგიის საფუძვლებში, შემდგომი საუნივერსიტეტო ხარისხების მოსაპოვებლად, კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით.

4. ზოგადი კომპეტენციები:

4.1. დასკვნის გაკეთების უნარი: ბაკალავრი აანალიზებს მოცემულობას და დასაბუთებული დასკვნის სახით უნარი აქვს, დააღაგოს თავისი მოსაზრება. მას შეუძლია რამდენიმე წანამდღერიდან გააკეთოს არგუმენტირებული დასკვნა; შეუძლია მონაცემების ანალიზი, დალაგება მსგავსების მიხედვით, სხვადასხვა კუთხით გაანალიზება ერთი და იგივე მასალის ან ფაქტის. იცნობს ძირითად ლოგიკურ სილოგიზმებს და იყენებს მათ პრაქტიკაში, შეუძლია მსჯელობის და აზრის დაგეგმვა და თეზისების ჩამოყალიბება, კვლევის შედეგის გამოყვანა, ანგარიშში ძირითადი სათქმელის გამოკვეთა, ლოგიკურად და არგუმენტირებულად მსჯელობა.

4.2. კომუნიკაციის უნარი:

4.2.1. კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე: შეუძლია მონაწილეობა დისკუსიაში შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან, რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება, დოკუმენტაციისა და საქმიანი წერილების შედგენა, მოხსენებებისა და პრეზენტაციების მომზადება, აქვს სათანადო კომპეტენცია წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურაში. ნამუშევარია ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე, პროფესიული ლექსიკის ჩამოყალიბებაზე, შეუძლია ნებისმიერი სამეცნიერო მოკლე ან საშუალო ფორმის წერილობითი ნაშრომის შექმნა და წარდგენა, პროექტის, ანგარიშის ორთოგრაფიულად და სინტაქსურად გამართულად ჩამოყალიბება.

4.2.2. კომუნიკაცია უცხო ენაზე: შეუძლია სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალის კითხვა და გააზრება, სპეციალისტებთან სამუშაო კონტაქტის დამყარება, თავისი დამოკიდებულების განმარტება წამოჭრილი საკითხის მიმართ. შეუფერხებლად იყენებს საერთაშორისო ინტერნეტ და სხვა ელექტრონულ კავშირს, ესმის და პასუხობს შეკითხვებს. უცხო ენის ცოდნა აკმაყოფილებს ევროპული სტანდარტის B2 დონეს.

4.2.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი: შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, საინფორმაციო სისტემების იდენტიფიცირება, პრეზენტაციის მომზადება, აქვს გამომუშავებული სოციოლოგიური პროგრამების მართვის და მათთან მუშაობის ჩვევები, აქვს სპეციალიზებულ სტატისტიკურ პროგრამებთან მუშაობის ჩვევები, იყენებს პროგრამულ

ბაზებს ექსპერიმენტული კვლევების ანალიზისათვის. იყენებს ინტერნეტ და საბიბლიოთეკო რესურსებს.

4.2.4. სწავლის უნარი: დამოუკიდებლად შეუძლია სპეციალური ლიტერატურის დახმარებით აიმაღლოს პროფესიული ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა. აქვს მკვეთრად გამოხატული თვითკრიტიკისა და ადეკვატური აღქმის უნარი. სწორად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს და იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას პიროვნული განვითარების მიმართულებით.

სასწავლო კურსების ანოტაციები

კოგნიტური ფსიქოლოგია: კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს შემეცნებითი პროცესების თანამედროვე მოდელები და მათ საფუძვლად მდებარე თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევების მონაცემები.

განვითარების ფსიქოლოგია: კურსის მიზანია, შეასწავლოს სტუდენტს განვითარების ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების დაუფლება და გამოყენება; სტუდენტი იძენს ადამიანის ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქოსოციალური განვითარების კანონზომიერებების ცოდნას; სწავლობს სხვადასხვა ასაკის ადამიანის განვითარების ეტაპის გარჩევას და დახასიათების უნარის გამომუშავებას, კრიტიკული შეფასების და ანალიზის, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარის განვითარება.

ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები: სასწავლო კურსი მიზნად ისახავს, სტუდენტებს შეასწავლოს ქცევისა და გამოცდილების ბიოლოგიური საფუძვლები. კერძოდ, განხილული იქნება ქცევის ფსიქობიოლოგია, დაწყებული ნერვული სიგნალიდან – დამთავრებული ქცევაზე ნეიროტრანსმიტერებისა და ჰორმონების ზეგავლენით, მგრძნობელობითი აღქმა და ქმედება, მათი ნეირობიოლოგიური ბაზისი. ასევე: ქცევები, ემოციები, გონებრივი დარღვევების ნეირობიოლოგიური საფუძვლები, დასწავლისა და მეხსიერების ნეირონული მექანიზმები, სქესთამორისი განსხვავების ჰორმონალური ბაზისი და ორიენტაციის ცვალებადობის შესაძლო ბიოლოგიური საფუძვლები.

კლინიკური ფსიქოლოგია: კურსი ითვალისწინებს კლინიკური ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების, კანონზომიერებების, თეორიების, საკლასიფიკაციო სისტემების, პრობლემების და მათი გადაჭრის გზების გაცნობა სტუდენტებისათვის.

ფსიქოთერაპიის სფუძვლები: სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ ფსიქოთერაპიის ძირითადი თეორიები და მეთოდები, მათი მიმართება კლინიკურ და არაკლინიკურ პრობლემებთან; ყოფითი, საოჯახო, სოციალური და პროფესიული პრობლემების (კომუნიკაცია, ლიდერობა და მართვა, მოლაპარაკებები, სოციალური პერცეფცია, თვითრეგულაცია და ა.შ.) კავშირი ფსიქოსომატურ თუ ფსიქიკურ აშლილობებთან, მათი რეგულაცია და პროფილაქტიკა.

განწყობის ფსიქოლოგია: სტუდენტებმა შეისწავლონ განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებები, ფაქტები და მოდელები, სხვა თეორიებთან განწყობის პარადიგმის მიმართება, ამ პარადიგმის აკადემიური და გამოყენებითი ასპექტები, მისი პრობლემები და პერსპექტივები.

ნეიროფსიქოლოგია : კურსი მოიცავს ნეიროფსიქოლოგიური ცნებების, ზოგადი კანონზომიერებების განხილვას. ნეიროფსიქოლოგიის თანამედროვე თეორიებისა და მოდელების გაცნობას. თავის ტვინის აგებულების ძირითადი პრინციპების განხილვასა და ნეიროანატომიის საფუძვლებს. კლინიკური ფსიქოლოგიის ძირითად საკითხებს, ძირითად ნეიროფსიქოლოგიურ სინდრომთა გაცნობას, მათ დიაგნოსტიკასა და რეაბილიტაციას.

პიროვნების ფსიქოლოგია: კურსი მოიცავს ნეიროფსიქოლოგიური ცნებების, ზოგადი კანონზომიერებების განხილვას. ნეიროფსიქოლოგიის თანამედროვე თეორიებისა და მოდელების გაცნობას. თავის ტვინის აგებულების ძირითადი პრინციპების განხილვასა და ნეიროანატომიის საფუძვლებს. კლინიკური ფსიქოლოგიის ძირითად საკითხებს, ძირითად ნეიროფსიქოლოგიურ სინდრომთა გაცნობას, მათ დიაგნოსტიკასა და რეაბილიტაციას.

ჯანმრთელობის ფსიქოლოგია: სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებმა შეისწავლონ ჯანმრთელობის ფსიქოლოგია. ცნებები, მოდელები, თეორიები, ჯანმრთელობის კავშირი ფსიქო-სომატიკასთან და კლინიკურ ფსიქოლოგიასთან. ასევე განიხილება პიროვნების ცვლილებები და ჯანმრთელობა. მისი ეთიკური ნორმები, სტრესი, ტრავმა, რისკ-ფაქტორები ამა თუ იმ დაავადებებისა, ტკივილი, ონკოლოგიური დაავადებების და შეძენილი იმუნო დეპრესიული სინდრომის ფსიქოლოგიურ ჭრილში არსებული თანამედროვე პრობლემატიკა. სტუდენტები გაეცნობიან თანამედროვე მიღწევებს ჯანმრთელობის ფსიქოლოგიაში.

პროფესიული ეთიკა: კურსის მიზანია პროფესიული ეთიკის ძირითადი ცნებების, კანონზომიერების, პრინციპების და ასპექტების გაცნობა სტუდენტებისთვის. ეთიკური ნორმების, სტანდარტების და კოდექსის ათვისება.

მათემატიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში: სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებს შეასწავლოს ფსიქოლოგისათვის აუცილებელი მათემატიკური ცნებები, ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის ელემენტების საწყისები, ფსიქოლოგიაში საკვლევი პრობლემისა და დიზაინის შერჩევის საკითხები. აგრეთვე სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს განუვითაროს გამოყენებით მონაცემთა შეტანისა და რედაქტირების, აგრეთვე კითხვარების შედგენის პრაქტიკულ უნარ-ჩვევები.

სამართლის ფსიქოლოგია: სამართლის ფსიქოლოგიის კურსი ეფექტურია, იმდენად, რამდენადაც ეტაპობრივად ხდება ზოგადი ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხების შერწყმა. ჩემი მიზანია, სტუდენტები გაეცნონ აღქმის, მეხსიერების, ემოციის, ქცევის, მოტივაციის, შეგრძნებების და სხვა ფსიქოლოგიურ პროცესების საფუძვლებსაც. აგრეთვე, კურსის მიზანია, გამოავლინოს სახელმწიფო კანონმდებლობის და ფსიქოლოგიური კვლევების შედეგების თანხმებადობის ხარისხი.

ფსიქოლოგიის ისტორია: სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ფსიქოლოგიის ისტორიის განვითარების ძირითადი ეტაპები, თეორიები, სკოლები, პიროვნებები, ანტიკური ეპოქიდან დაწყებული – თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმართულებებამდე. კურსი მიზნად ისახავს, სტუდენტებს გააცნოს აზიის, ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთისა და საქართველოს ფსიქოლოგიური აზროვნება, ფსიქოლოგიური იდეების ისტორიული განვითარება სხვადასხვა ეპოქაში.

აუტოგენური ტრენინგი: სტუდენტები გაეცნონ აუტოგენური ფსიქორეგულაციის, მათ შორის, აუტოტრენინგის ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, ისტორიას და პრაქტიკულ ხერხებს, მათ შეუძლიათ გაიარონ აუტოტრენინგის რიგი სავარჯიშოები და ისწავლონ მათი ჩატარება.

ფსიქოსომატიკა: კურსი ითვალისწინებს ფსიქოსომატიკაში სტუდენტის მიერ ძირითადი სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდების შესწავლას და შემდგომ მათი გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ათვისებას.

ფსიქოანალიზი: ფსიქოანალიზის კლასიკური თეორიის ძირითადი კონცეპტუალური გააზრება: ფსიქიკისა და პიროვნების ტოპოლოგიური მოდელები, მცდარი ქმედებების, სიზმრებისა და ნევროზების (შფოთვითი აშლილობები და ქცევითი დარღვევები) გაგება; ქცევის ანალიზი ფსიქოანალიზში; ქცევის დარღვევების მიზეზები, აღდგენის შესაძლებლობები ფსიქოანალიტიკური ფსიქოთერაპიის საშუალებით.

ფსიქოდიაგნოსტიკა: კურსის მიზანია, შეასწავლოს სტუდენტებს ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები, არსი და მეთოდები.

ფსიქოლოგიური კონსულტაცია ასწავლის სტუდენტს ფსიქოლოგიური კონსულტაციის ძირითად ცნებებს, თანამედროვე მოდელს, აგრეთვე თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევების მონაცემებს და მათ ანალიზს.

გემტალტ-თერაპია იმლევა გემტალტ-თერაპიის საფუძვლების შესწავლის საშუალებას, ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიული მუშაობის გამოცდილებას.

MMPI: სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ **MMPI** კითხვარი (მინისოტას მრავალფაზიანი პიროვნების საკვლევი ტესტი). ისინი დაეუფლებიან კვლევის 3 ძირითად ასპექტებს, როგორცაა, ინფორმაციის შეკრების მეთოდი, ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის მეთოდი და პიროვნების სტრუქტურის ანალიზის შედეგების გამოყვანა.

თემატურ აპერცეფციათა ტესტი-TAT: სტუდენტი ეუფლება დარგში ჩამოყალიბებულ მეცნიერულ ცნებებს, მათ ადეკვატურ გამოყენებას. სტუდენტი შეიცნობს ადამიანის განვითარების პროცესს, როგორც ბიოლოგიური, სოციოკულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორების ურთიერთგავლენის შედეგს. შეისწავლის ადამიანის ინდივიდალ, პიროვნებად და ქცევის სუბიექტად ჩამოყალიბების ძირითად კანონზომიერებებს, რაც სასარგებლოა ფსიქოლოგის, როგორც პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო საქმიანობისათვის.

ნეირო-ლინგვისტიკური პროგრამირება – NLP: მოცემული სასწავლო კურსი მოიცავს „NLP- Practitioner“-ს. ეს საშუალებას აძლევს მონაწილე სუბიექტებს, წარმოდგენა იქონიონ ნეირო-ლინგვისტიკური პროგრამირების ძირითად მოდელზე, გამოიყენონ NLP-ს სტრატეგიები და ტექნიკები პირადად, გახდნენ უფრო დაკვირვებულები, მოქნილები, განვივითარონ სენსორული მგრძობელობა. აგრეთვე დაეხმარება მათ ეფექტურ კომუნიკაციაში.

ფსიქოთერაპიული მიმდინარეობები : სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებს შეასწავლოს ძირითადი თერაპიული მიდგომები ფსიქოლოგიაში, ფსიქოთერაპიის თეორიული ბაზისი, ფსიქოთერაპიული მიმდინარეობების აღმოცენების ისტორია, თეორიული საფუძვლები, ძირითადი დებულებები, მიზნები და ტექნიკები. ასევე, სასწავლო კურსი ითვალისწინებს ფსიქოლოგიის პრაქტიკაში არსებული ფსიქოთერაპიული მიდგომების შესწავლას, ცნობილი ტექნიკების ათვისებას თეორიისა და ანალიზის დონეზე, რაც თერაპიისა და ფსიქოკონსულტაციის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს.

ორგანიზაციული განვითარება და ორგანიზაციული ფსიქოლოგია: კურსი ითვალისწინებს ორგანიზაციული ფსიქოლოგიის, როგორც დარგის განვითარების შესაძლებლობათა შესწავლას და ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სტუდენტი ითვისებს ორგანიზაციული განვითარების თეორიულ წინაპირობებს და ეჩვევა პრაქტიკული ხასიათის კითხვებს გასცეს კონკრეტული, პროფესიული პასუხი.